# ქართულ საბანკო სექტორში საბონუსე სისტემის გავლენა თანამშრომელთა კმაყოფილებასა და შრომით პროდუქტიულობაზე

**ქეთევან წიკლაური**

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად“*

ბიზნეს ადმინისტრირება: საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დანელია, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი,2023**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქ.წიკლაური

09.01.2023

# აბსტრაქტი

საბაზრო ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში გაზრდილი კონკურენციის შემდეგ ორგანიზაციები ცდილობენ ისეთი სისტემების დანერგვას, რომლითაც შეძლებენ თანამშრომელთა მოტივაციის, ეფექტურობის გაზრდას, რადგანაც, ორგანიზაციის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია დასაქმებულთა მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ამ სისტემებს შორისაა ანაზღაურების საბონუსე სისტემა, რომელიც დღეს თითქმის ყველა ორგანიზაციაშია დანერგილი, მათ შორის კომერციულ ბანკებშიც.

ჩატარებული კვლევის მთავარი საკვლევი საკითხი არის ქვეყანაში მოქმედ კომერციულ ბანკებში დანერგილი საბონუსე სისტემები, მათი როლი თანამშრომელთა მოტივაციის შექმნის სქემაში, აგრეთვე, მათი გავლენა დასაქმებულთა პროდუქტიულობაზე, სამუშაო განწყობასა და შრომით კმაყოფილებაზე.

კვლევის მიზანია განსაზღვროს საბონუსე სისტემის გავლენა კომერციულ ბანკებში დასაქმებულთა შრომით კმაყოფილებასა და პროდუქტიულობაზე, ნათელჰყოს ბანკის მენეჯმენტის დამოკიდებულებები და ქმედებები ამ სისტემის ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების დახმარებით. შესწავლილ იქნა როგორც მენეჯმენტის შეხედულებები, აგრეთვე მათ დაქვემდებარებაში მყოფი, უშუალოდ საბონუსე სისტემაში ჩართული თანამშრომლების მდგომარეობა და შეხედულებები.

ჩატარებული კვლევის შედეგების, კვლევის შედეგად აღმოჩენილი და განხილული სამეცნიერო ნაშრომები თანხვედრაშია კვლევის მიზანთან და მთავარ საკვლევ საკითხთან. საბოლოოდ, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საბონუსე სისტემის არსებობა კომერციულ ბანკებში დადებითად მოქმედებს და აისახება დასაქმებულთა კმაყოფილებასა და შრომით პროდუქტიულობაზე.



**საძიებო სიტყვები:** საბონუსე სისტემა, შრომითი კმაყოფილება, შრომითი პროდუქტიულობა, კომერციული ბანკი

# Abstract

After increased competition in various sectors of the market economy, organizations are trying to introduce systems that will be able to increase employee motivation, efficiency, because the success of an organization largely depends on the quality of work done by employees. These systems include the bonus system, which is now introduced in almost every organization, including commercial banks.

The main issue of the research is the number of systems introduced in commercial banks operating in the country, their role in the scheme of creating employee motivation, as well as their impact on employee productivity, work mood and job satisfaction.

The aim of the study is to determine the impact of the bonus system on the job satisfaction and productivity of employees in the commercial banks, to clarify the bank's management attitudes and actions to ensure the effective management of this system.

The study was conducted with the help of quantitative and qualitative research methods. Both the views of the management and the views of the employee directly involved in the bonus system were studied.

The results of the research conducted, the scientific papers discovered and discussed as a result of the research are in the line with the purpose of the research and the main issue of the research.

Finally, the study found that the existence of a bonus system in commercial banks has a positive effect and affects on employee satisfaction and job productivity.



**Key words: bonus system, job satisfaction, job productivity, commercial bank**